საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/9

ქ.თბილისი

„16" მარტი 2016 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის სამართლებრივი სამსახურის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე–11[1] მუხლის, 36[2] და 36[3] მუხლების, „საჯარო სამსახურის ბიუროს" უფროსის 2015 წლის 05 ნოემბრის N77/სა ბრძანების, "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 21 დეკემბრის N6/31 ბრძანების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციისათვის განისაზღვროს შემდეგი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ძირითადი ფუნქციები:

- კომისიის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების, ხელშეკრებულებისა და სხვა დოკუმენტების ექსპერტიზა;
- კომისიის დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება და შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფა;
- ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროებში საკანონმდებლო და ნორმატული ბაზის სრულყოფის მიზნით მომზადებული წინადადებებისა და პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- მომხმარებელთა საჩივრების განხილვის ორგანიზება;

- კომისიის ან კომისიის თავმჯდომარის შესაბამისი რწმუნების საფუძველზე კომისიის სასამართლოში და სხვა სახელმწიფო უწყებებში წარმოდგენა და მისი ინტერესების დაცვა;
- კომისიის დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია კომისიის საქმიანობის სამართლებრივ უზურნველყოფასთან;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სამართალში; დოქტორის (PHD) აკადემიური ხარისხი სამართალში; **(სასურველია);**

სერტიფიკატი:

- ადვოკატის მოწმობა; **(სასურველია);**

სამუშაო გამოცდილება:

- 2000 წლის შემდეგ იურისტად მუშაობის სულ მცირე 10 წლიანი მუშაობის გამოცდილება; მათ შორის სულ მცირე 5 წელი სამართლებრივი დეპარტამენტის/ სამსახურის/ჯგუფის ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- 2000 წლის შემდეგ სატელეკომუნიკაციო ან/და მაუწყებლობის სფეროში იურისტად საქმიანობის სულ მცირე 2 წლიანი გამოცდილება;
- 2000 წლის შემდეგ სახელმწიფო/საჯარო სამსახურიში სულ მცირე 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება ადმინისტრაციული საქმის წარმოების კუთხით;

ენების ცოდნა: ინგლისური ენა **(სასურველია);**
კომპეტენცია და უნარები:

- ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება;
- სამართლებრივ დოკუმენტებზე მუშაობა;
- დაგეგმვა და ორგანიზება;
- ქართულ ენაზე წერილობითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარი;
- დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი;
- შესრულებულ სამუშაოზე პროფესიული პასუხისმგებლობის აღების უნარი;
- მართვა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- დროის ეფექტური მართვა და მენეჯმენტი;

სამართლებრივი აქტების ცოდნა:
საქართველოს კანონმდებლობის ცოდნა, მათ შორის:

- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი

- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესები
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო- საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ადმინიტრაციული- საპროცესო კოდექსი
- საქ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (ზოგადი ნაწილი და კომისიის კომპეტენციის ნაწილი)
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
- „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი
- ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

- MS Office (Word, Excel);

3. კომისიის აპარატის **სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის** პოზიციისათვის განისაზღვროს ხელფასი, 6660 ლარის ოდენობით (დარიცხული) თვეში.

4. საკონკურსო- საატესტაციო კომისიას დაევალოს:

ა) აღნიშნული კონკურსის ჩატარება;

ბ) კონკურსის ჩატარების პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმის და გრაფიკის შემუშავება და დამტკიცება;

5. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
7. კონტროლი აღწერილი ბრძანების შესრულებაზე განხორციელდება პირადად.

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე